„სამხრეთ ოსეთი“ - წითელი ვანდეა

„კავკავის კომუნისტების გაზეთი „სალდატ რევოლუციის“ 4 ივნისის ნომერი სხვათაშორის შემდეგსა სწერს; „აჯანყება, რომლის შესახებაც ჩვენ თავის დროზე ვწერდით, ფართოვდება და ფეხს იკიდებს. სამხრეთ ოსეთის პროლეტარიატი ემზადება სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს ქართველ ჯალათებს - ჟორდანიას მთავრობას.

როდესაც განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღები შეიჭრენ ჩრდილოეთიდან სამხრეთ ოსეთში, მშრომელმა მთის ოსებმა გამოაცხადეს თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა მთავრობა. მიმართავენ რა რუსეთის საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, სამხრეთ ოსეთის ყრილობის წარმომადგენლები, პროტესტს აცხადებენ, რომ ისინი ძალით შეუერთეს ბიუროკრატიულ რუსეთის ნაბუშარ სოციალ-გამყიდველების საქართველოს რესპუბლიკას. მთას ესმის ეს ხმა, ესმით გამხეცებულ მენშევიკების კბილების კრაჭუნი და წინასწარვე გრძნობენ, რომ დაკოჟებული ხელები რუსეთის პროლეტარიატის მიეშველება მათ.“

ასე „იცავენ“ და „ასრულებენ“ მოსკოვში საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას ჩრდილო კავკასიის კომუნისტები!..

ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი?..“ [1]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთის - „ერთობის“ რედაქციის ეს შეკითხვა - რიტორიკული იყო:

[1] ოსების აჯანყება და ჩრდილო-კავკ. კომუნისტები, ერთობა #135, 18.06.1920 წელი.

როდესაც ამ სტრიქონებს სტამბაში აწყობდნენ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს - რეგულარულ ჯარს და სახალხო გვარდიას, რამდენიმე ფრონტზე უწევდა საბჭოთა რუსეთის პირდაპირი შეტევის მოგერიება, ხოლო სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურები და შსს განსაკუთრებული რაზმი აქტიურად მუშაობდნენ აფხაზეთში, სადაც უკვე 5 მაისს მდინარე ფსოუსთან საბჭოთა წითელი არმიის ნაწილები გამაგრდნენ საზღვარზე და მოსალოდნელი ბოლშევიკური აჯანყების წარმატებისთვის ძლიერ „ზურგს“ ქმნიდნენ. თბილისში კი საქართველოს კომპარტიის ახლადგახსნილი გაზეთის - „კომუნისტის“ გარშემო შეკრებილი საქართველოს ბოლშევიკები აქტიურ იდეოლოგიურ მხარდაჭერას უწევდნენ ამ მხარეებში თანამებრძოლთა შეიარაღებულ გამოსვლებს. საბჭოთა, ამ პირობებში რუსული სამხედრო გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი მოწოდება, სხვა არაფერი იყო თუ არა - ორ ქვეყანას შორის ახლადდადებული სამშვიდობო ხელშეკრულების უხეში დარღვევა, როდესაც საბჭოთა რუსეთი, ოსი ბოლშევიკების შეიარაღებულ რაზმებს, მის მიერვე საქართველოს აღიარებულ ტერიტორიაზე საომრად გზავნიდა და ღია მხარდაჭერასაც უცხადებდა.

1920 წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი წელი იყო, როგორ წარმატებების, ისე - საფრთხეების თვალსაზრისით. წლის დასაწყისში ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა საქართველო დე ფაქტო აღიარეს, თუმცა მალევე ბრიტანელების ბათუმის ოლქიდან გასვლის გადაყვეტილებით და ჩრდილოეთ კავკასიაში წარმატებებით გათამამებულმა

საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ, ამიერკავკასიაში პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია დაიწყო და 30 აპრილს დამოუკიდებელი აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქოს დაკავების შემდეგ, ოკუპირებული აზერბაიჯანის „საბჭოთა მთავრობას“ ამოფარებულმა „სრული სვლით თბილისისკენ“ გააგრძელა შეტევა. საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ ამ ომში, აღმოსავლეთის ფრონტი ერთადერთი მიმართულება არ ყოფილა: სადახლოსა და წითელი ხიდის მხრიდან წითელი არმიის შეტევის პარალელურად 8 მაისს როკის უღელტეხილიდან წინასწარ მომზადებული ოსი ბოლშევიკების რაზმები გადმოვიდნენ და ჯავაში მყოფი ქართული სახალხო გვარდიის ბატალიონი და ადმინისტრაცია დაატყვევეს, რასაც ცოტა ხანში ცხინვალის დაკავება და იქ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება მოჰყვა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ საპასუხოდ ჩატარებული სამხედრო ოპერაცია მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ზოგიერთი ქართველი საბჭოთა ისტორიკოსის და 1990-იანი წლებიდან ოსი ისტორიკოსების მხრიდანაც მუდმივი სპეკულაციის თემად იქცა და საქართველოს მიერ „ოსი ხალხის გენოციდად“ იქნა გამოცხადებული, რისი მტკიცებაც, დღემდე ძირითად - ლეგენდებს, საბჭოთა პროპაგანდისტულ ლიტერატურას და ხშირ შემთხვევაში არარსებულ წყაროებს ეყრდნობა. გასაკვირი არაა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროსაც, რუსი ჯარისკაცებისთვის დარიგებული სპეციალური ცნობარები შინაარსით დიდად არ განსხვავდებოდა ზემოთ მოყვანილი საგაზეთო ციტატისგან და ქართული არტილერიის მიერ „მძინარე ცხინვალში დახოცილი 2 000 მშვიდობიანი მოქალაქეც“ რუსული მედიის ძირთად პროპაგანდისტულ იარაღად იქცა ომის დღეებში, მაგრამ ეს საფუძველს მოკლებული ბრალდება მალევე დავიწყებას მიეცა. 1920 წლის ივნისი კი უკვე იმდენად შორს არის, როგორც ჩვენი საზოგადოების კოლექტიური მეხსიერებიდან, ისევე საერთაშორისო პოლიტიკის აქტორების აღქმიდან, რომ დღეს მისით მანიპულირება საკმაოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს.

თუმცა, ქართული საარქივო ფონდების და საბიბლიოთეკო რესურსების გათვალისწინებით ძნელი არ არის, ცხინვალის რეგიონში 1920 წლის პროცესების და ასევე მისი განმაპირობებელი წინა წლების მოვლენების აღდგენა და ობიექტური სურათის გამოკვეთა.

1918 წლის მძიმე გაზაფხული; „მახვილი ზურგში“ - ბოლშევიკური აჯანყებები კავკასიაში.

„უდიდესი და უსაშინლესი საფრთხე წარმოდგა ჩვენს წინ. შეიძლება როცა ამ წერილს ვწერ, ოსმალეთთან მოლაპარაკება უკვე შეწყვეტილი იყოს და ოსმალეთის ლაშქარი დაუნდობლად მოისწრაფოდეს ჩვენი ქვეყნისკენ ცეცხლითა და მახვილით მის გასანადგურებლად.“[2]

1918 წლის 28 მარტს რუბრიკაში „თავდაცვა“ „ერთობის“ უცნობი კორესპონდენტი ასე ცდილობდა მოქალაქეთა მობილიზაციისათვის მიეცა მუხტი, რომ მათ ყველაფერი ეღონათ ფრონტის ხაზზე მყოფი ჯარის

[2] თავდაცვა, ერთობა #71, 28.03.1919 წელი.

დასახმარებლად და მობილიზაციისთვის თავი არ აერიდებინათ, მაშინ - როდესაც ბათუმის ოლქის და ჯავახეთის ბედი ბეწვზე ეკიდა. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, საბჭოთა რუსეთმა ბათუმის ოლქი, ყარსისა და არტაანის მიწები ოსმალეთის საკუთრებად აღიარა, მაგრამ ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ და 10 თებერვალს მოწვეულმა ამიერკავკასიის სეიმმა ეს პირობები არ მიიღო, რის შემდეგაც ოსმალეთი იარაღის ძალით შეუდგა მიკუთვნებული ტერიტორიების დაკავებას.

ოსმალეთის შემოტევას, რითაც მას წინა წლებში კავკასიის ფრონტზე განცდილი მარცხის გამო რევანშის საშუალება მიეცა, ასევე სათავისოდ მობილიზებული შეხვდა საბჭოთა რუსეთის სატელიტი ბოლშევიკური ძალები კავკასიაში, რომელთაც ლენინური კურსის მცირე მოდელის დანერგვა სცადეს კავკასიის დონეზე - მსოფლიო „იმპერიალისტური ომი“ სამოქალაქო ომსა და ბოლშევიკურ რევოლუციაში გადაეყვანათ.

1917 წელის ბოლოდან ბოლშევიკებმა დიდი წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიის ფრონტის მოშლაში და გაბოლშევიკებული ჯარისკაცების მასის მხარდაჭერით პირველად სცადეს თბილისში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება, თუმცა ამიერკავკასიის კომისარიატმა და ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასკომმა ქალაქის და სარკინიგზო მაგისტრალის დაცვა შეძლეს - ტფილისის წითელმა გვარდიამ არსენალის ხელში ჩაგდებით და მისი გარნიზონის განიარაღებით კი ზურგშიც საფუძველი გამოაცალა გადატრიალების გეგმებს. 1918 წლის გაზაფხულზე, ოსმალეთთან ღია ფრონტის პირობებში და ამიერკავკასიის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, საქართველოში ბოლშევიკებმა აჯანყებების სერია წამოიწყეს. აჯანყებები ჩრდილოეთ კავკასიის „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის“ მთავარი ქალაქიდან - კავკავიდან (ვლადიკავკაზი) იმართებოდა - ბოლშევიკური ამბოხებები აალდნენ - კახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დასავლეთ საქართველოში კი იმერეთის მთიან ნაწილში, ხოლო განსაკუთრებით აქტიურად ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის რაზმები მოქმედებდნენ სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში, რასაც ლეჩხუმში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და ამიერკავკასიის ხელისუფლების მიერ მასზე ფაქტობრივი კონტროლის დაკარგვა მოჰყვა. 1918 წლის 26 მარტს ბოლშევიკებმა სოხუმში ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში და მთელ ოლქში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

მოვლენები განსაკუთრებით დრამატულად განვითარდა გორის მაზრაში - ოსებით დასახლებულ ჯავის და ცხინვალის რაიონებში. აქ გაჩაღებულ შეიარაღებულ გამოსვლებს - აგრარულ ანარქიად აფასებდნენ თანამედროვეები და მიუთითებდნენ, რომ მასში ოსი გლეხობის დიდი მასის ჩართვაც - მათი ისტორიული, მძიმე სოციალური მოცემულობით იყო განპირობებული. ხიზანი და უმიწო ოსი გლეხობა ვერ ითმენდა (ისევე როგორც სხვა მხარეებში გლეხობის უმრავლესობა) რევოლუციის შემდეგ მიწის ახალი რეფორმის შემუშავებამდე და მათ სტიქიურად, თვითნებურად დაიწყეს ყოფილი მემამულეების მიწების, ქონების მისაკუთრება და რიგ შემთხვევებში მათი ფიზიკური განადგურებაც. აჯანყებული გლეხების, ყოფილი ჯარისკაცების და დეზერტირების სისასტიკეზე

ბოლშევიკების კარგად გათვლილი აგიტაციაც ახდენდა გავლენას: ისინი გლეხობაში გამალებულ აგიტაციას ეწოდნენ, რომ თითქოს - „მენშევიკები და გვარდია თავადაზნაურობას მიეყიდა და ბატონ-ყმობის აღგდენას აპირებდნენ“.

გორის მაზრაში არსებული ანარქია განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნიდა ამიერკავკასიის ხელისუფლებას, რადგან საფრთხე დაემუქრა რკინიგზის ცენტრალურ მაგისტრალს და ბათუმის დაცვა შეუძლებელი გახდებოდა თუ გორის მაზრაში მოქმედი დეზერტირების დაჯგუფება, რომელთაც რუსეთის იმპერიის არმიის ყოფილი პორუჩიკი - ისაკ ხარებოვი მეთაურობდა ცხინვალს და გორს აიღებდა. ხარებოვის თითქმის 300 კაციანი დაჯგუფება, ძირითადად ფრონტიდან გამოქცეული ოსი და ქართველი, ბოლშევიკების მომხრე ჯარისკაცებისგან შედგებოდა, რომელებიც თვეების განმავლობაში დათარეშობდნენ გორის მაზრაში და მათ ანგარიშზე არაერთი ყოფილი მემამულის დარბევა, დახოცვა და სახლ-კარის გადაწვა იყო. ამიერკავკასიის ხელისუფლება იძულებული შეიქმნა ბათუმის ფრონტზე გასაგზავნი ჯარების გადაჯგუფება მოეხდინა და წითელი გვარდიის (შემდგომ სახალხო გვარდია) ნაწილებისთვის გორში მოეყარა თავი, თუმცა ხელისუფლება იმედს იტოვებდა რომ სისხლისღვრის გარეშე გადაჭრიდა პრობლემას.

1918 წლის 18 მარტს მთავრობის დავალებით, ტფილისის მუშათა საბჭოს წევრი კირილე ნინიძე და ამიერკავკსიის სეიმის დეპუტატი გიორგი გაგლოევი გორში ჩავიდნენ. კირილე ნინიძე გორში უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ცხინვალში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო იგი გაგლოევს თან გაჰყვა. ამ დროისათვის, ცხინვალში - სადაც დიდი მიტინგი უნდა გამართულიყო, უკვე იმყოფებოდა გორის მაზრის კომისარი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი - გიორგი მაჩაბელი. ნინიძემ მაჩაბელს ტელეგრაფით ჰკითხა საჭირო იყო თუ არა სამხედრო ძალის დამატება, თუმცა მაჩაბელმა უპასუხა - *„სამხედრო ძალა საჭირო არ არის, მართალია გარს გვარტყია შეიარაღებული ჯგუფები, მაგრამ უკვე ვინახულეთ მათი დელეგატები და ყველაფერზე შევთანხმდით...“*[3] კირილე ნინიძე მოგვიანებით იხსენებდა:

„მე გამოცდილებით ვიცოდი გიორგის გულკეთილობა და ამიტომ განმეორებით შევეკითხეთ სამხედრო ძალის შესახებ. კვლავ გვიპასუხა; ძალა საჭირო არ არის, საქმეს ვათავებთ, მხოლოდ თქვენ ჩამოდითო..“

გაგლოევი და ნინიძე გორიდან ცხინვალისკენ ფაეტონით დღის ორის ნახევარზე გავიდნენ. შესასვლელთან მგზავრები ჯარისკაცების ჯგუფს გადაეყარნენ, რომელთაც ისინი გააჩერეს და ვინაობის გარკვევის შემდეგ დახვრეტა დაუპირეს, მაგრამ საქმეში ორი ჯარისკაცი ჩაერია, რომელთაგან ერთი ქართველი მეორე კი ოსი იყო და მგზავრებს დაბაში შესვლის უფლება მისცეს. გაგლოევი და ნინიძე პირდაპირ მიტინგზე გაემართნენ სადაც საბოლოო სიტყვას გიორგი მაჩაბელი ამბობდა:

„1905-ში გადაწყვეტილი მქონდა სიკვდილი და სიცოცხლე შემთხვევამ მაჩუქა, მას შემდეგ ჩემი სიცოცხლე ერთგვარი საჩუქარია, მე სიკვდილის არ შეშინია, მაგრამ მომეცით ნება იქ მოვკვდე სადაც საჭიროა,

[3] კ. ნინიძე, არეულობა ცხინვალის რაიონში, ერთობა #68, 24.03.1918 წელი.

გამიშვით ისევ აწყურის პოსტზე.[4]რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას იმას ჩვენ სავსებით ვღებულობთ..“

მაჩაბელის შემდეგ გიორგი გაგლოევმა ილაპარაკა, მაგრამ მოულოდნელად ტრიბუნაზე რაიონის კომისარი კულუმბეგოვი აიჭრა და გაცხარებით წარმოთქვა: **„კმარა ლამაზი სიტყვები და დაპირებები, საქმე ასრულებაა“** რის შემდეგაც ყველაფერი აირია. საქმის გამოსწორება კირილე ნინიძემ სცადა და ტრიბუნაზე ავიდა, მაგრამ გორაკებიდან შეიარაღებულმა ხალხმა სროლა ატეხა და მიტინგი დაიფანტა. მოგვიანებით პრესაში დაბეჭდილი კირილე ნინიძის მოგონება ცხინვალის საბედისწერო დღეებზე მკაფიოდ და დეტალურად აღწერს სიტუაციას:

„აჯანყებულთა ბრბო ყოველი მხრიდან ესროდა ცხინვალს და ათ საათზე ცეცხლიც კი გაჩინა, ირგვლივ ცეცხლი გაუჩინეს ღობეებს და ვენახებს. ღამის თორმეტ საათამდე გვარდიამ ხელში ჩაიგდო ტყვეთ სამოცამდე კაცი. ღამის თორმეტ საათზე სროლა შესწყდა და კვლავ განახლდა დილის ხუთ საათზე. თორმეტ საათზე გამოირკვა , რომ გვარდიას პატრონები არ ყოფნიდა. ეს გაიგეს თავდამსხმელებმა და ორი საათიდან იერიში გააძლიერეს. დაახლოებით სამ საათზე ცხინვალი აიღეს. გიორგი მაჩაბელი დაიჭრა თავდამსხმელების შემოსვლის წინ, ჭრილობა შეუხვიეს და საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ სალდათებმა გამოიყვანეს და ხიშტებით მოკლეს. გმირულათ მოკვდა ასევე კოსტა ყაზიევი, რომელიც გაძარცვეს, გაატიტვლეს და ისე დასტოვეს ქუჩაში. სანდრო კეცხოველი მოკლეს ქუჩაში დაახლოებით 6 საათზე. არავინ იცის სად არიან მილიციის უფროსი არჯევანიძე, ოფიცერი მ. კენჭეხაშვილი და სხები. მაშო კაპანაძე პორ. ეფრემიძე და გიორგი გაგლოევი 20 მარტს დღის 12 საათამდე ცოცხლები იყვნენ. ბრძოლაში დაიჭრა სამი გვარდიელი, რამდენი დაიჭირეს ცოცხლათ და რამდენი დახვრიტეს არავინ იცის. ჩემს იქ ყოფნის დროს დასწვეს სამი სახლი. გაძარცულთა რიცხვის გამორკვევა შეუძლებელია. ძარცვავდნენ ყველას, ვისაც კი მოასწრებდნენ, მიჰქონდათ საათები, ფულები, მანუფაქტურა, კოვზები, საცვლები, ქალებს ბეჭდებს აძრობდნენ თითებიდან, იყო შემთხვევა რომ წაიღეს აკვანი, მტაცებლობა ხდებოდა აშკარათ; ცალ ხელში ვინტოვკა ეჭირათ სალდათებს, ზურგზე სავსე ტომარა ქონდათ წამოკიდებული ან რაიმე ავეჯი და ისე მიდიოდნენ.. როდესაც ცხინვალი აიღეს აირჩიეს დამცველი შტაბი, საინტერესოა რომ დიქტატორული უფლებებით აღჭურვეს ინჟინერი რუთენ გაგლოევი, რომელიც რწმენით სოციალ-დემოკრატია და პარტიული ამხანაგების ნდობითაც სარგებლობს, მაგრამ როდის გაჩნდა ის ცხინვალში არავინ იცის, ცხინვალი აიღეს მაგრამ მეთაურები შეშინდნენ გორიდან გვარდია მოვა და დაგვსჯისო..“[5]

კირილე ნინიძე, გიორგი გაგლოევი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის უხუცესი წევრი სანდრო კეცხოველი, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად ოსმა ჯარისკაცებმა დაატყვევეს და დახვრეტა დაუპირეს თუმცა ისინი შემთხვევითობამ იხსნა. კირილე ნინიძე იცნო ჯარისკაცმა შავლეგ კოჟაევმა, რომელიც 4 წლით ადრე ადვოკატმა ნინიძემ სამხედრო სასამართლოსგან სიკვდილით დასჯას

[4] ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ.

[5] კ. ნინიძე, არეულობა ცხინვალის რაიონში, ერთობა #68, 24.03.1918 წელი.

გადაარჩინა და კოჟაევმა მას მადლობის ნიშნად წასვლის უფლება მისცა და ტყვეები გამოაცილა კიდეც, რის შემდეგაც მათ ორ ჯგუფად გაყოფა მოუწიათ, მაგრამ სანდრო კეცხოველს არ გაუმართლა ის კვლავ დააკავეს ცხინვალის სასამართლოს შენობის ახლოს და წამებით მოკლეს. ცხინვალიდან თავის დაღწევის შემდეგ გზაში ნინიძეს და გაგლოევს გორიდან დაძრული გვარდიის ნაწილები შეხვდათ რომელთაც ანარქიის ჩასახშობათ უკვე გადამწყვეტი მოქმედების ბრძანება მიეღოთ.

23 მარტს ცხინვალიდან ამიერკავკსიის მთავრობას ვალიკო ჯუღელისგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

„22 მარტს ჩვენმა წითელმა გვარდიამ ცხინვალი და მისი ახლომახლო ადგილები ხელში ჩაიგდო. მოწინააღმდეგემ ბრძოლა არ მიიღო და ჩვენ მისვლამდე მთებში გაიქცა. მთელი მათი ძალა გროვდება ჯავის ხეობაში. მთელი დღე სამი სოფლის დაპყრობას და გაწმენდას მოვანდომეთ. ჩვენი ჯარები ახალგაზრდა არტილერისტების დახმარებით მედგრათ წინ მიიწევდა. ჩვენ მსუბუქად დაგვიჭრეს ერთი. მოწინააღმდეგის ზარალი არ ვიცით. ჩვენმა არტილერიამ სოფლები დაზოგა და სოფლიდან გამოსულ მოწინააღმდეგეს ყუმბარები დაუშინა. დღეს დილიდან ჩვენი გვარდია მაღალ მთებს შეუდგა ბრძოლით ჩრდილო აღმოსავლეთისკენ. ფედერალისტთა რაზმი და დასახმარებლათ თბილისიდან ჩამოსული წითელი გვარდიელები გავიდნენ მდინარე ლიახვში და დასავლეთიდან ცხინვალს ალყა შემოარტყეს. ცხინვალი სამწუხარო სურათს წარმოადგენს; ყველაფერი განადგურებულია, ქუჩებზე ჩვენი ამხანაგების დანთხეული სისხლია დამხმარი. მცხოვრებნი აღტაცებით შეგვხვდნენ. ჯერჯერობით გავანთავისუფლეთ 150 ტყვე. ჯავის რაიონის ტყვეები ჯერ არ გაგვინთავისუფლებია. დიდის სიფრთხილით ვიქცევით, რომ ჩვენ და მათ შორის პროვოკაციის მიერ შექმნილი უფსკრული კიდევ უფრო არ გავაღრმავოთ. ხვალ მივიღებთ საჭირო გადამჭრელ ზომებს. მომხდარი ამბები მეტად რთული და ტრაღიკულია. ყველა მამაკაცი სოფლებიდან გაიქცა, ზოგიერთი სოფლები სულ დაიცალა. დამნაშავეები სასტიკათ დაისჯებიან.“[6]

1918 წლის 14 აპრილს (ახალი სტილით) ბათუმი დაეცა და აჭარა ოსმალურმა არმიამ დაიკავა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ და სახალხო გვარდიამ ზაფხულის განმავლობაში აჯანყების ყველა კერის განეიტრალება შეძლო და ქვეყანაში სტაბილიზაციის პროცესი დაიწყო.

ისაკ ხარებოვი ივლისში სასიკვდილოდ დაიჭრა საჩხერის რაიონში სახალხო გვარდიასთან შეტაკების დროს, როდესაც საჩხერეში „ინტერნაციონალისტურ ვალს“ იხდიდა და საჩხერელი ბოლშევიკების დასახმარებლად გადავიდა თავისი რაზმით. იგი თანამებრძოლებმა სოფელ გიორგიწმინდაში წაიყვანეს სადაც მალევე გარდაიცვალა.[7]

კირილე ნინიძე და გიორგი გაგლოევი 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული

---

[6] ცხინვალის ამბები, ერთობა #68, 24.03.1918 წელი.

[7] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიების კრებული), „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961 წელი, გვ. 650-651.

რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრებად იქნენ არჩეული. 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ ისინი, როგორც მათი თანამებრძოლების უმრავლესობა ემიგრაციაში არ წასულან და 1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიების დროს იქნენ განადგურებული.

რუთენ გაგლოევი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა საიდანაც მალე პოლონეთში მოუწია გაქცევა. 1928 წელს დაბრუნდა ემიგრაციიდან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. იგი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.[8]

1919 წელის ბოლშევიკური ერთიანი აჯანყების მცდელობა საქართველოში

1919 წელი რუსეთის სამოქალაქო ომში სამხრეთ რუსეთის მოხალისეთა არმიის წარმატებით დაიწყო, რამაც ბოლშევიკური საფრთხე შეამცირა, მაგრამ გამეზობლებული რუსი მონარქისტები არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენდნენ საქართველოს რესპუბლიკსიათვის. ოსების თავის სასარგებლოდ გამოყენება არც გენერალი დენიკინისთვის იყო უცხო; ჯერ კიდევ წლის დასაწყისში 1919 წლის 11 იანვარს რუსი შავრაზმელების წაქეზებით შეიარაღებულმა ოსურმა ჯგუფებმა თერგის ოლქში მდებარე ქართული დასახლება, სოფელი ალაგირი დაარბიეს, გაძარცვეს, და ვინც დახოცვას და საცხოვრებელ სახლებში ცოცხლად გამოწვას გადაურჩა სოფლიდან გამოაძევეს.[9] ამ სასტიკი დარბევის მიზეზად 1918 წელს საქართველოდან განდევნილი ბოლშევიკი ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის რაზმისთვის მასპინძლობის გაწევას ასახელებდნენ, რის გამოც ამ ამბავმა ვლადიმერ ლენინის ყურდღებაც კი მიიქცია. გენერალ დენიკინს, მცდელობის მიუხედავად საქართველოში დასაყრდენის არქონის გამო უჭირდა ქვეყნის შიგნით არეულობის მოწყობა, თუმცა ის პირდაპირი იერიშით რამდენჯერმე შეეცადა საქართველოს საზღვრებში შემოჭრას, სადაც მან 1919 წლის აგვისტოში ოსების განსაკუთრებული პოლკი გამოიყენა მამისონის უღელტეხილზე შეტევისათვის და პოლკოვნიკმა ხაბაევმა ქართულ ძალებს უღელტეხილის დატოვება მოსთხოვა, თუმცა ქართულმა სანაპირო რაზმმა და რაჭა-ლეჩხუმის სახალხო გვარდიამ შეტევების მოგერიება შეძლო. გაზეთი „სახალხო საქმე“ ამ ფაქტთან დაკავშირებით 1919 წლის 30 ივლისს წერდა:

„ოსები საუბედუროდ ამიერ-კავკასიის ერთა შორის პოლიტიკურად ყველაზე ნაკლებად განვითარებული და მომზადებული ხალხია. იგი ბოლშევიკურ რადიკალურ პროგრამას ისეთივე ხალისით ითვისებს, როგორც დენიკინის პროვოკატორულ დაპირებებს.“[10]

1919 წლის შემოდგომიდან, რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკების წარმატებას, საქართველოში კვლავ მათი გააქტიურება მოჰყვა, თუმცა წინა წლისგან განსხვავებით არც მათ ჰქონდათ საქართველოში აჯანყების მოწყობის დიდი რესურსი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების

[8] https://south-ossetia.info/ruten-gagloev-patriot-inzhener-publicist-obshhestvennyj-deyatel/

[9] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90

[10] ახალი საფრთხე, სახალხო საქმე #588, 30.07.1919 წელი.

გატარებულმა თვითმმართველობის და მიწის რეფორმებმა, ასევე საინფორმაციო მუშაობამ, სოფლის მოსახლეობა რესპუბლიკის ერთგული გახადა და სოციალური აფეთქების მუხტი გააქარწყლა. ამას ემატებოდა სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურების და შსს განსაკუთრებული რაზმის ეფექტური მუშაობა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ტაქტიკა შეცვალა: ამჯერად აჯანყებები არა სტიქიური ხასიათზე, არამედ კარგად შეკრული და ორგანიზებული ჯგუფების მიერ საქართველოს თითქმის ყველა მხარეში და დედაქალაქ თბილისში - სახელმწიფო ადმინისტრაციის, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე მოულოდნელ თავდასხმას და კონტროლის დამყარებას ითვალისწინებდა. განსაკუთრებული ყურადღება ამჯერადაც ამიერკავკასიის რკინიგზას და წიფის გვირაბის ხელში ჩაგდებას ექცეოდა, რაც მნიშვლენოვან უპირატესობას მისცემდა აჯანყების ორგანიზატორებს. აჯანყების სამართავად კომიტეტმა გორის მაზრაში ქართველი ბოლშევიკი ივანე ჯეჯელავა მიავლინა. გეგმით - შეიარაღებულ ჯგუფებს ქალაქი ხაშური უნდა დაეკავებინათ; ალის მხრიდან არსენ ლომიძეს, ხცისის მხრიდან ზნაურ აიდაროვს და სურამის მხრიდან ტატე ბუხრიკიძეს უნდა შეეტიათ.

ზნაურ ზაურბეგის ძე აიდაროვი 1889 წელს დაიბადა თერგის ოლქის სოფელ კადგარონში. 1902 წელს დაამთავრა სოფლის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა. 1909-1913 წლებში მეფის არმიაში მსახურობდა. 1913 წლიდან აიდაროვი მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში, სადაც დაუკავშირდა ბოლშევიკებს და პარტიაში შევიდა. 1918 წელს ის ბოლშევიკთა კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ოქონის რაიონის სოფლებში გაგზავნა შეიარაღებული რაზმების შესაქმნელად. 1919 წლიდნ იგი მუშაობდა თბილისში შექმნილ საიდუმლო სამხედრო რევოლუციურ შტაბთან და მონაწილეობდა გორის მაზრის აჯანყების მომზადების დაგეგმვაში. 1919 წლის ნოემბერში აიდაროვი დანიშნეს გორის მაზრის მარჯვენა ნაპირის რაზმთა შტაბის უფროსად.[11]

1919 წლის ბოლშევიკური აჯანყება, რომელიც 7 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო დამარცხებისთვის აღმოჩნდა განწირული; ქართულმა სპეცსამსახურებმა მათი გეგმები წინასწარ იცოდნენ და სამხედრო რევოლუციური შტაბი უკანასკნელ სხდომაზე შსს განსაკუთრებულმა რაზმმა მთელი შემადგენლობით დააპატიმრა. აჯანყების ცენტრი მოიშალა, კავკასიის სამხარეო კომიტეტმა სამზადისი გააუქმა, მაგრამ ინფორმაციის არქონის გამო - კახეთში, გურიაში, აფხაზეთში და გორის მაზრაში აჯანყებები მაინც დაიწყო, თუმცა სახალხო გვარდიის ნაწილები წინასწარ მომზადებული შეხვდნენ გამოსვლებს და მისი ლიკვიდაცია არ გასჭივრებიათ. მართალია გორის მაზრის რამდენიმე დასახლებული პუნქტი აჯანყებულებმა დაიკავეს, ვანო ჯეჯელავამ სოფელ ახალქალაქში გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო ზნაურ აიდაროვი ხცისის რევკომს ჩაუდგა სათავეში. სახალხო გვარდიამ კონტრშეტევის შემდეგ სოფლების გაწმენდისას 14 ნოემბერს

[11] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიების კრებული), „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961 წელი, გვ. 77-78.

შეტაკებისას მოკლა არსენ ლომიძე[12] და მისი თანაშემწეები ხიჯაშვილი და აბესალომ ბეკოშვილი, ზნაურ აიდაროვი ტყვედ აიყვანეს, ხოლო ჯეჯელავამ ჩრდილოეთ კავკასიაში გაქცევა მოასწრო.

1919 წლის 10 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით, გორის მაზრაში მოქმედი ჯარისა და გვარდიის საველე შტაბთან არსებულ განსაკუთრებულ სასამართლოს განაჩენით დახვრეტეს შემდეგი პირები:

1. გეურქ მიხეილის ძე შახნაზარიანცი - მეჯვრისხევის შეიარაღებული რაზმის მეთაური
2. ზნაურ ზაურბეგის ძე აიდაროვი - ხცისის რევკომის თავმჯდომარე
3. ბესარიონ გიორგის ძე თიბილაშვილი - ხცისის ბოლშევიკური შეიარაღებული რაზმის მეთაური
4. შაქრო ბანაკას ძე მეცხვარიშვილი - სოფელ ხოვლეს შეიარაღებული რაზმის მეთაური
5. არტემ იოსების ძე ხუციევი მეტსახელად „ბოლშევიკი ჭიორღას ბიჭი“ - ახალქალაქის რაზმის მეთაური
6. სანდრო ზაქარიას ძე გალუსტოვი - ისიც ახალქალაქის შეიარაღებული რაზმის მეთაური
7. იაკობ იოსების ძე ზარაფიანცი - მეჯვრისხევის ბოლშევიკური სარევოლუციო სამხედრო შტაბის ხელმძღვანელი[13]

ასევე სამხედრო საველე სასამართლომ დახვრიტა ქართველი მილიციონერები - ეფრემ დავითის ძე ჩადუნელი და ივანე იოსების ძე კორკოტაძე, არსენ ლომიძის შეიარაღებულ დაჯგუფებასთან შეერთების და იარაღის გატაცებისთვის. სამხედრო სასამართლოს მიერ გურიაში, დუშეთის მაზრაში და ლაგოდეხში კიდევ რამდენიმე ბოლშევიკი იქნა დახვრეტილი. გორის მაზრის ადმინისტრაციამ წლის ბოლომდე ჯავისა და ცხინვალის რაიონებში მთლიანად დაასრულა იარაღის ამოღების პროცესი და დამატებითი სამხედრო ძალები რეგიონიდან გამოიყვანა.[14]

„სამხრეთ ოსური ვანდეა“

„მოდიოდა ჩუმი რუსული იმპერიალიზმი და პირახვეული რუსიფიკაცია. მაშინ ქართველ ხალხს მუდამ ახსოვდა, რომ საქართველოს სუვერენობას თავდადებით უნდოდა დაცვა და რა ნიღბის ქვეშაც არ უნდა მოენდომებინა რუსეთს საქართველოში დამკვიდრება, მას უნდა ებრძოლა, მას უნდა შეენახა რესპუბლიკის მთლიანობა და ერის თავისუფლება. აი ამ გადაწყვეტილებით ებრძოდა თავდადებით საქართველო 1920 წელს როკიდან შემოჭრილ რუსულ ბანდებს, რომელთაც ერისთვის მონობა მოჰქონდათ. მაშინ ეს საფრთხე საქართველომ აიშორა თავიდან, მაგრამ 1921 წლის დაპყრობის შემდეგ საქართველოს ეროვნულად მოსაშლელად და მისი სხეულის დასახლეჩად, სხვა უბედურებასთან ერთად, რუსეთმა სამხრეთ ოსეთის ნიღბის ქვეშ რუსული უნაგირი დაადგა ზურგზე კავკასიონის ქედს და მისივე წითელი

[12] გვარდიის მთავარ შტაბში; ლომიძის მოკვლა, ერთობა #261, 18.11.1919 წელი.
[13] ყაჩაღ მეამბოხეთა დახვრეტა, ერთობა #270, 28.11.1919 წელი.

[14] საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი #1863, ანაწერი #1, საქმე #754, გვ. 1.

არმიელი დაუყენა დარაჯად საქართველოს სტრატეგიულ ყელებს.“ [15]

ასე აფასებდა, წლების შემდეგ სუზდალის პოლიტიზოლატორში გამოკეტილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი სოციალ-დემოკრატი ლეო რუხაძე 1920 წელს გორის მაზრაში მორიგ სამხედრო განმუხტვას, რამაც ჯავის ხეობის ოსური მოსახლეობა საბჭოთა რუსეთის მრავალსვლიანი სამხედრო კამპანიის მონაწილედ აქცია და შემდეგ მარტო დატოვა საპასუხო დარტყმის წინაშე.

1920 წელს, რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელის სერგო ორჯონიკიძის მითითებით კავკავში დიდი სამზადისი გაჩაღდა. წინა წლებში საქართველოდან გაქცეული ოსი მებრძოლი ბოლშევიკებისგან, აპრილში „სამხრეთ ოსეთის პარტიზანული ბრიგადა“ შექმნეს და მის პოლიტიკურ კომისრად ძველი ბოლშევიკი - რაზდენ შამელის ძე კოზაევი დანიშნეს. თუმცა კოზაევს ბრიგადაში საქმიანობისთვის ნამდვილად აღარ ეცალა, მას უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა წინ; მაისში იგი საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციის მე-2 კონფერენციამ საოლქო კომიტეტის წევრად აირჩია და მოსკოვში მიავლინა - ვლადიმერ ლენინისთვის „სამხრეთ ოსეთის მშრომელთა მიმართვის“ ჩასაბარებლად. კოზაევი მოსკოვში კომინტერნის მეორე კონგრესის მიმდინარეობისას ლენინმა მიიღო და „სამხრეთ ოსეთის აჯანყებულ მშრომელებს“ დახმარება აღუთქვა.[16]

1920 წლის მაისი ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის მძიმედ დაიწყო: საბჭოთა რუსეთმა ისარგებლა სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების დაპირისპირებით და რადგან დამოუკიდებელი აზერბაიჯანის არმიის დიდი ნაწილი განჯაში და ყარაბაღში იყო მობილიზებული სომხეთის არმიის წინააღმდეგ, თითქმის უბრძოლველად დაიკავა ბაქო და პირდაპირ თბილისისკენ გააგრძელა შეტევა. თუმცა, ეს შეტევა ინერციით არ ყოფილა განპირობებული; ბოლშევიკური მებრძოლი ჯგუფები უკვე მზადყოფნაში იყვნენ ზურგში მოქმედებისთვის, როგორც საქართველოს ისევე სომხეთის ტერიტორიაზე და მაშინვე სცადეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება, რაც ყარსის ოლქში ბოლშევიკური აჯანყებით, ხოლო თბილისში სამხედრო სკოლაზე თავდასხმის და მთავრობის წევრების ხელში ჩაგდების მცდელობაში გამოიხატა, მაგრამ ეს ოპერაცია ჩავარდა. თუმცა, ანალოგიური სახიფათო სამხედრო ვითარება შეიქმნა ქვეყნის თითქმის ყველა განაპირა მხარეებში: ქართულ ჯარს და სახალხო გვარდიას აღმოსავლეთით ფიოლიოს, სადახლოსა და წითელი ხიდის მხრიდან უწევდათ წითელი არმიის დივიზიის მოგერიება, ამავდროულად რთული ვითარება იყო შექმნილი ბათუმის ოლქში, საიდანაც ბრიტანელები უკვე გადიოდნენ და ოლქის ხელში ჩასაგდებად ფარული ბრძოლა იყო გაჩაღებული; საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა რა ბრიტანელების გასვლის გეგმა, ჯერ კიდევ

[15] ლეო რუხაძის დღიურის ფრაგმენტი, საზოგადოებრივი არქივი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, ნიკოლოზ უგრელიძის კოლექცია.

[16] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიების კრებული), „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961 წელი, გვ. 338-339.

იანვრიდან დაიწყო ოზურგეთის მხრიდან სამხედრო დანაყოფების განთავსება, ხოლო აპრილის ბოლოდან ქართული ჯარები ართვინის და ხულოს მხარესაც გააქტიურდნენ. 2 მაისს ქართულმა დანაყოფებმა ართვინი დაიკავეს, მაგრამ ხულოს მიმართულებით სერიოზული პრობლემები შეიქმნა; ბათუმის ოლქში სადაც, მოხალისეთა არმიის ძლიერი გავლენა იყო ასევე, ძლიერი იყო ბოლშევიკური იატაკქვეშეთი და პროოსმალური, შემდეგ პროთურქული ორგანიზაცია „სედაი მილეთი“. არც ერთი ამ მიმართულების ინტერესში არ შედიოდა საქართველოს მიერ ბათუმის ოლქზე კონტროლის დამყარება, რასაც საბჭოთა რუსეთის და ქემალისტური თურქეთის საიდუმლო მოლაპარაკებებიც დაემთხვა და ბოლშევიკური იატაკქვეშეთის გავლენის ქვეშ გადასულმა „სედაი მილეთის“ შეიარაღებულმა ჯგუფებმა ქართულ არმიას ქობულეთის და ხულოს გზებზე სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. ბოლშევიკმა ტერორისტებმა სურგულაძემ და ჯიბლაძემ ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის მებრძოლი ჯგუფების ხელმძღვანელის სერგო გუბელის (მეძმარიაშვილი) დავალებით 23 აპრილს მდინარე კინტრიშის სარკინიგზო ხიდი ააფეთქეს და მიიმალნენ. 1920 წლის 5 მაისს წითელი არმიის დანაყოფებმა მდინარე ფსოუსთან საქართველოს სანაპირო ჯარების პირისპირ პოზიციები საბოლოოდ დაიკავეს და მათი სამხედრო დაზვერვის აგენტები აფხაზეთის მხარეს გააქტიურდნენ. იმ დროს როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთის მხრიდან ყოველმხრივი ზეწოლის ქვეშ იყო მოქცეული, ხელისუფლებას ჩრდილოეთ კავკასიის სადაზვერვო ქსელიდან ჰქონდა ინფორმაციები ოსური ბოლშევიკური ჯგუფების შემოჭრის შესახებ, როგორც ქართული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე იგონებს, საქართველოს თითქმის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოუწია ისედაც მწირი რესურსებით თავდაცვის მოწყობა:

„სადახლოსთან არმიელთა ნაწილებისგან საჯარისო ჯგუფი შევქმენი. საქმეში სამხედრო სკოლაც ჩავრთე. ამ ჯგუფის უფროსად პოლკოვნიკი ჩხეიძე დავნიშნე, გენერალი ჯიჯიხია - წითელი ხიდის აღმოსავლეთით, გენერალი იოსებ გედევანიშვილი - სალ-ოღლისთან ფოილოს ხიდის მიმართულებით, გენერალი სუმბათაშვილი ლაგოდეხთან. ამ ძალების გარდა, გვარდიელთა ორი ბატალიონი ცხინვალის რაიონში და მისგან ჩრდილოეთით განვალაგე, იმ მიზნით რომ ჯერ ერთი, ოსური მოსახლეობა მორჩილებაში მყოლოდა და მეორეც თუ მტერი როკის უღელტეხილიდან გადმოსვლას დააპირებდა, ჩვენი ნაწილები ადგილზე დახვედროდნენ. ერთი არმიელთა ბატალიონი, ადგილობრივი მოსახლეობის შემადგენლობით, ყაზბეგში იდგა და ვლადიკავკაზიდან მომავალ ზას იცავდა. გვარდიელთა ერთი ბატალიონი ონში იმყოფებოდა მაძისონის უღელტეხილის დასაცავად. გაგრის მიმართულებას გენერალ მაჭავარიანის რაზმი იცავდა. გენერალ წულუკიძის ნაწილები კი აჭარაში - ხულოსა და არდანუჩში იყვნენ შეყვანილი, დანარჩენს კი ახალციხის მაზრაში, აჭარის საზღვართან მოეყარა თავი.“[47]

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მიუხედავად სადაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული

[17]გიორგი კვინიტაძე, ჩემი მოგონებები 1917-1921, ნაწილი 1, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 2018 წელი, გვ. 167-168.

რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა აღიარა, საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა არ მოჰყოლია. როცა სადახლოსა და წითელი ხიდის მიმართულებით წითელი არმიის ნაწილების ძლიერი შეტევები კვლავ გრძელდებოდა, ამ დროისათვის, 8 მაისს ჯავაში „სამხრეთ ოსეთის პარტიზანული ბრიგადის“ რაზმები შემოიჭრნენ, იქ განლაგებული გვარდიის ბატალიონი, ადმინისტრაცია და ერთი ქართველი მღვდელი დაატყვევეს. „პარტიზანულ პოლკს“ მათე სანაკოევი მეთაურობდა ხოლო ბატალიონებს - არსენ ძუცოვი და არქიფო ჯიოევი, რომლებიც წინა აჯანყებების მონაწილე ბოლშევიკები იყვნენ. აჯანყების პოლიტიკურ ხაზს აქტიური ბოლშევიკები - ვლადიმერ სანაკოევი და ალექსანდრე ჯატიევი ხელმძღვანელობდნენ. სანაკოევი „სამხრეთ ოსეთის“ საოლქო კომიტეტის თავმჯდომარედ იყო არჩეული, ხოლო ჯატიევი - კომიტეტის წევრად.

ოსი ბოლშევიკების რაზმებმა ადგილობრივი მოსახლეობა აიყოლიეს და მთელი ჯავის რაიონი დაიკავეს. 1920 წლის 21 მაისს აღმოსავლეთის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები შეწყდა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა საქართველოსთვის მშვიდობაზე ფიქრი ნაადრევი გამოდგა.

1920 წლის ივნისში კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგად ციხიდან განთავისუფლებული ახალგაზრდა ბოლშევიკი გაიოზ დევდარიანი ცხინვალისა და ჯავის რაიონში მიავლინა აჯანყების სახელმძღვანელოდ. დევდარიანი მაშინვე აირჩიეს „სამხრეთ ოსეთის რევკომის“ წევრად. მისი ჩასვლა აჯანყების კერაში ახალი ნიშანი გამოდგა სიტუაციის გამწვავებისთვის. მალე ჯავის ხეობიდან დაძრულმა ოსურმა რაზმებმა 7 ივნისს ცხინვალი აიღეს და მეორე დღეს 8 ივნისს საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. როგორც წინა წლებში, ახლაც საფრთხე - ამიერკავკასიის რკინიგზას და საგზაო მაგისტრალს დაემუქრა, რასაც, მოგვიანებით მათე სანაკოევიც დაუფარავად იხსენებდა:

„იმ ღამისთვის მე შევადგინე ასეთი გეგმა; შეტევით უნდა დაგვეკავებინა ქალაქი გორი და ამიერკავკასიის რკინიგზა. გორიდან სურამის გვირაბამდე, გაგვენადგურებინა სარკინიგზო ხიდები და ბორნები მდინარე მტკვარზე, გაგვემაგრებინა გასასვლელები და ზურგში დაგვერტყა დარიალის ხეობაში და ონის რაიონში განლაგებული მოწინააღმდეგისათვის. მაგრამ ჩემი შეტევის გეგმას არ დაეთანხმნენ ჯატიევი და გადიევი...“[18]

ქართული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე იძულებული შეიქმნა ჯარები გადაეჯგუფებინა და ცხინვალის მიმართულებით აღმოსავლეთის ფრონტიდან სახალხო გვარდიის ბატალიონები გადაესროლა. ამის საშუალება მას მაისის ბოლოს განჯაში და 9 ივნისს ზაქათალის ოლქში ანტისაბჭოთა აჯანყებების დაწყებამ მისცა: ზაქათალის ოლქში აზერბაიჯანელი ბეგების - გალაჯიევის, კარდაშევის და აბასოვის გამოსვლები ქართველი სამხედრო დაზვერვის აგენტების მხარდაჭერით

[18] https://south-ossetia.info/vospominaniya-o-genocide-1920-goda-uchastnikov-soprotivleniya/

დაიწყო, ხოლო განჯის აჯანყებას დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, ნოე რამიშვილი უწევდა მხარდაჭერას. წითელი არმიის სარდლობა იძულებული გახდა მნიშვნელოვანი შენაერთები აჯანყებული აზერბაიჯანელების წინააღმდეგ გადაესროლა.

საიდუმლო ბრძოლა გრძელდებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ზურგშიც: 6 ივნისს სადგურ ნატანებში ქართულმა კონტრდაზვერვამ თვალთვალის შემდეგ დააკავა ბოლშევიკი ქალი სოფია პრესმანი, რომელსაც თბილისში გამომავალი გაზეთი „კომუნისტის“ რედაქციიდან, ბათუმის კომიტეტის სახელით დაბეჭდილი საქართველოს ხელისუფლების და ბრიტანელების საწინააღმდეგო დიდძალი პროკლამაციები მიჰქონდა ბათუმში. პრესმანმა დაკითხვაზე აღიარა რომ პროკლამაციები თბილისში „კომუნისტის“ სტამბაში იყო დაბეჭდილი. გაზეთ „კომუნისტში“ კი 1920 წლის 13 ივნისს უკვე ღიად დაიბეჭდა დიდი სტატია - „ყველას გასაგონად - სამხრეთ ოსეთის აჯანყების გამო“ სადაც რედაქცია წერდა რომ:

„საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება ამ აჯანყებასთან, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ეროვნული თვითგამორკვევა; კომუნისტების პროგრამა ყველას გასაგონათ ამბობს, რომ ყველა ეროვნებას აქვს უფლება ნაციონალური თვითგამორკვევისა სრულ გამოყოფამდე და ცალკე სახელმწიფოს დაარსებამდე. მაშასადამე ამ უფლებას ვერ წავართმევთ ჩვენ ვერც სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ..“[19]

წერილზე და აჯანყებაზე პასუხს და ხელისუფლების რეაქციას არ დაუგვიანია. 14 ივნისს, ორშაბათს დილით, შსს განსაკუთრებული რაზმის თანამშრომლებმა, შსს მინისტრის ბრძანებით კომუნისტის რედაქცია და სტამბა დახურეს,[20] ხოლო თანამშრომლები დააკავეს და დაკითხვაზე წაიყვანეს. 15 ივნისს გაზეთი „ერთობა“ საპასუხოდ წერდა:

„ერთა თვითგამორკვევის - ამ დიადი იდეის სახელით ამართლებენ ბოლშევიკები ოსების მუხანათურ თავდასხმას, ოსები თავს დაგვესხნენ მაშინ, როცა ჩვენ ფრონტი გვქონდა ადერბაიჯანის საზღვარზე და ბათომის ოლქში. ამას ეძახიან ჩვეულებრივ ენაზე - მოღალატეობას, დემოკრატიისთვის ზურგში მახვილის ჩაცემას, რაც ჯავის ოსებს მათი ბალშევიკური ყაჩაღების ლიდერობით სისტემათ გადაექცათ და თუ ჩვენ ამის წინააღმდეგ გავილაშქრეთ, ესე იგი თავდამსხმელი მოვიგერიეთ, ეს არის თურმე „თვითგამორკვევის უფლების შელახვა.“ მერე მართალია ბალშევიკების იდეური წუწუნი? „კომუნისტების“ პროგრამა ყველას გასაგონათ ამბობს, რომ ყველა ეროვნებას აქვს უფლება ნაციონალური თვითგამორკვევისა, სრულ გამოყოფამდე და ცალკე სახელმწიფოს დაარსებამდე, კეთილი! მაგრამ ერთი ვიკითხოთ, მართლა ახორციელებს ამას კომუნისტების ლაშქარი და კომისრები? ავიღოთ ჩრდილო-კავკასია,

[19] ყველას გასაგონად - სამხრეთ ოსეთის აჯანყების გამო, კომუნისტი #10, 13.06.1920 წელი.

[20] გაზ. „კომუნისტი“-ს დახურვის გარშემო, საქართველოს რესპუბლიკა #132, 16.06.1920 წელი.

სადაც იმყოფება ასეთი მთავარი ტერიტორია, ბალშევიკები ჯავის ხეობის გადმოსახლებულ ოსებს ურიგებენ სახელმწიფოებრივ უფლებებს - რატომ ჩრდილო ოსეთის, ესიგი ოსეთის ნამდვილ ტერიტორიაზე არ ახორციელებენ ამ თავის პროგრამას? იქ ხომ საქართველო აღარ ყავთ ხელის შემშლელი? ან ჩეჩნები, დაღესტნელები რატომ ვერ ღებულობენ დამოუკიდებლობას, ან კიდევ კაზაკები და სხვა? რათ დაუყენეს მათ სათავეში ზევიდან დანიშნული კომისრები და წითელარმიელთა სისხლიანი ხიშტებით ახშობენ მათ თავისუფლებას ?"[21]

1920 წლის 10 ივნისს, გორში ქართველი სამხედრო მეთაურები შეიკრიბნენ. ბრძოლის ველზე ჩავიდა მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძეც. მან გადაწყვიტა თვითონ ეხელმძღვანელა სამხედრო ოპერაციისთვის. ცხინვალის მისადგომებთან სახალხო გვარდიის რვა ბატალიონმა მოიყარა თავი. ამას დაემატა ცხენოსანთა დანაყოფი და ორი სამთო საარტილერიო ბატარეა ჯიბო ყანჩელის მეთაურობით. მთავარსარდალმა კვინიტაძემ გადაწყვიტა იერიში, ფართო ფრონტით - ცხინვალზე ორივე ფლანგის შემოვლით დაეწყო. მან ბატალიონები კოლონებად გაანაწილა და მარჯვენა კოლონას მეთაურად ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე, შუა მარჯვენას გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი, მარცხენა კოლონას პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი და შუა მარცხენა კოლონას, რომელიც მეკავშირედ გამოიყენებოდა თვითონ გაუძღვა. 11 ივნისს საველე შტაბის სხდომაზე გადაწყდა, რომ ცხინვალზე შეტევა დილას მთელ ფრონტზე დაწყებულიყო.[22]

12 ივნისს დაწყებული შეტევა წარმატებით განვითარდა და საარტილერიო მომზადების შემდეგ გვარდიის ნაწილებმა თითქმის უბრძოლველად და უდანაკარგოდ დაიკავეს ცხინვალი და მისი შემოგარენი. მოწინააღმდეგემ ბრძოლა არ მიიღო, ჯავის ხეობისკენ დაიხია უკან და სიმაღლეების გამაგრება დაიწყო, თუმცა სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა იქაც ვერ შეძლო. 13 ივნისს გვარდიის ნაწილებმა ჯავის მისადგომები აიღეს. სახალხო გვარდიის მიახლოვებამ ჯავის რაიონის ოს მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. ამას დაემატა ბოლშევიკი სამხედრო მეთაურების აგიტაცია, რომ გვარდია შურს იძიებდა მათზე და ამიტომ მოსახლეობამ თითქმის მთლიანად დატოვა ხეობა. მათ გაყვანას ალექსანდრე ჯატიევი ხელმძღვანელობდა. 15 ივნისს ონის უღელტეხილის მხრიდან დაძრული რაჭის სახალხო გვარდიის მხარდაჭერით, რომელსაც პოლკოვნიკი ბიქტორ ინწკირველი მეთაურობდა, ორი მხრიდან ჯავის მიმართულებით დაიწყო შეტევა და იმ დღესვე დასახლება დაიკავეს.

1920 წლის 20 ივნისს ვლადიკავკაზიდან თბილისში ჩამოვიდა რსფსრ-ს სრუფლებიანი წარმომადგენელი სერგეი კიროვი, მას სადგურზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ქარცივაძე და თბილისის კომენდანტი გენერალი მიქაშავიძე დახვდნენ და მისიისთვის გადაცემულ შენობამდე მიაცილეს. კიროვს იქ, აკრძალვის მიუხედავად, ქართველი

[21] კიდევ ოსეთზე, ერთობა #132, 15.06.1920 წელი.

[22] [22]გიორგი კვინიტაძე, ჩემი მოგონებები 1917-1921, ნაწილი 1, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 2018 წელი, გვ. 175.

ბოლშევიკები მცირე მიტინგით შეხვდნენ - „რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატის წარმომადგენელისთვის სალამის მისაძღვნელად“. საღამოს, მიტინგის დასრულებიდან მალევე, განსაკუთრებულმა რაზმა აქციის მონაწილე ბოლშევიკები დაარბია და რამდენიმე მათგანი დააპატიმრა.[23]

20 ივნისს სამხედრო საველე სასამართლოს გადაწყეტილებით ჯავაში დახვრიტეს ბრძოლის დროს დატყვევებული აჯანყების 13 აქტიური მონაწილე ოსი ბოლშევიკი მებრძოლი - ა.გ ჯიოევი, დ.ნ ვალიევი, ნ.ა ვალიევი, კ.ზ ცხოვრებოვი, ნ.დ კოტოლოვი, პ.დ ხოდოვი, ს.ლ გობოზოვი, ი.რ თედეევი, ტ.დ ცხოვრებოვი, ბ.გ ჯერანოვი, ს.ნ გიგოლაევი, რ.დ გიგოლაევი და გ.ა კუმარიტოვი.[24]

25 ივნისს სახალხო გვარდიამ სოფელი როკი და გადასასვლელი უღელტეხილები ბრძოლით დაიკავა და საზღვარი აღადგინა, 26 ივნისს კი ოპერაცია დამთავრებულად გამოცხადდა. გვარდიის ბატალიონების ნაწილი დემობილიზაციაში გაუშვეს, ნაწილი ბათუმის მიმართულებით გადაისროლეს, ხოლო თბილისის და სამაგრელოს გვარდიის ბატალიონები ჯავაში დარჩნენ გენერალი კონიაშვილის და ზაქარია გურულის მეთაურობით.

25 ივნისს საქართველოს დეპეშათა სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომ სოხუმში და გაგრაში აღმოჩენილი იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულება, შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ კომუნისტები; კუხალეიშვილი, ვიგრიანოვი, სვანიძე და სხვები. გამოძიებამ მათ იარაღი, ყუმბარები, ასაფეთქებელი მასალები და სამხედრო რუკები უნახათ.

1920 წლის ივლისში ბრიტანელები ბათუმის ოლქიდან გავიდნენ და მათივე პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებით საბოლოოდ დატოვეს ამიერკავკასია. ბრიტანელებმა ბათუმი საქართველოს გადმოსცეს და ქალაქში ქართული ჯარი და სახალხო გვარდია შევიდა.

1920 წლის ივნისში ცხინვალისა და ჯავის რაიონში ჩატარებულ სამხედრო ოპერაციაზე ყოველთვის იყო კითხვის ნიშნები გადაამეტა თუ არა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახალხო გვარდიის ნაწილებმა ძალას და იყო თუ არა ანგარიშსწორება მოსახლეობის წინააღმდეგ. პირველ როგში აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში; კახეთში, რაჭაში, ბორჯომის ხეობაში და სხვადასხვა ადგილებზე მცხოვრები ეთნიკური ოსების წინააღმდეგ არცერთ ეტაპზე არ ყოფილა თუნდაც ერთი ფაქტი ეთნიკური შევიწროვების და ოსი ბოლშევიკების გამო შურისძიების. შეუძლებელია დაზუსტებით გარკვევა, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა საუკუნის წინ, საბრძოლო მოქმედებების დროს, თუმცა - „გენოციდის“ და მიზანმიმართული განადგურების ფაქტები ვერც საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ 1924 წელს შექმნილმა საგამოძიებო კომისიამ ვერ

[23] საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა, საქართველოს რესპუბლიკა #137, 22.06.1920 წელი.
რუსეთის საბჭოთა წარმომადგენელის ჩამოსვლა თბილისში, საქართველოს კომუნისტი #4, 22.06.1920 წელი.

[24] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიების კრებული), „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961 წელი, გვ. 677.

დაადგინა.[25] მნიშვნელოვანია რომ ქართული შეიარაღებული ძალებისადმი ბრალდებები ძირითადად გამოიხატება გვარდიელების თვითნებობაში და აჯანყების მონაწილეთა სახლების გადაწვაში, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი ძირითადად ჯავის რაიონში. აჯანყების მკაცრად ჩახშობა საქართველოს წინაშე არსებული სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხეებით იყო გამოწვეული, რასაც ვალიკო ჯუღელიც აღიარებს თავის მოგონებებში „მძიმე ჯვარი“ და აღნიშნავს, რომ ამას მის დაქვემდებარებაში მყოფი გურიის სახალხო გვარდიის ბატალიონი აკეთებდა.[26] მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თავდაცვის საბჭომ წინასწარ უარყო დასჯის მსგავსი ფორმა, ჯუღელის მოგონებით - გურულმა გვარდიელებმა „შური იძიეს“ 1905 წლის პოლკოვნიკი კრილოვის ექსპედიციის გამო, რომელმაც ოზურგეთი გადაწვა და ჯუღელისვე თქმით კრილოვის ექსპედიციაში განსაკუთრებით ოსი ჩაფრები და „სტრაჟნიკები“ აქტიურობდნენ.

აღსანიშნავია, რომ გენერალი კვინიტაძის მიერ დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია აბსულუტურად სიმეტრიულად ჩატარდა და მის მიზანს არ წარმოადგენდა აჯანყებული მასის ალყაში მოქცევა და განადგურება. შეტევა ძირითადად ცხინვალი-ჯავის მიმართულებით განვითარდა და მთავარსარდალს არ გაუძლიერებია ონის უღელტეხილზე მდგარი პოლკოვნიკი ინწკირველის დაქვემდებარებაში მყოფი, არტილერიით ზურგგამაგრებული რაჭის სახალხო გვარდია, რაც მარტივად იქნებოდა შესაძლებელი ლეჩხუმის გვარდიის მობილიზებით და ინწკირველის მიერ ჯავაზე შეტევა და მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა შესაძლებელი გახდებოდა. თუმცა, პოლკოვნიკმა ინწკირველმა შეტევაზე გადასვლის ბრძანება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო რაც 15 ივნისს ძირითადი მიმართულების ნაწილები ჯავას მიუახლოვდნენ, რასაც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის ცნობებიც ადასტურებს და ორმხრივი დარტყმის საშიშროების წინაშე მგდარმა მოწინაარმდეგემ მაშინვე როკისკენ დაიხია უკან. სამხედრო ოპერაციის მონაწილე ქართველი სამხედრო მეთაურების მოგონებები ადასტურებს რომ ოსი ბოლშევიკების რაზმებისგან ძლიერი და ორგანიზებული წინააღმდეგობა ბრძოლის არცერთ ეტაპზე არ ყოფილა, რის გამოც მსხვერპლი ორივე მხრიდან მინიმალური იყო. 8 მაისს ჯავაზე თავდასხმისას დატყვევებული ქართველი გვარდიელები საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების საფუძველზე გაანთავისუფლეს 1920 წლის ივლისში.

1918-1920 წლების გორის მაზრაში მოწყობილი აჯანყებების მონაწილე ოსი და ქართველი ბოლშევიკების შემდგომი ბედი ისე წარიმართა, როგორც უმრავი მათი თანამებრძოლისა. ამ ადამიანების ბედს 1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ ისტორიაში ნამდვილად შეიძლება ეწოდოს „პოლიტიკური გენოციდი“, რაც იოსებ სტალინმა და მისმა ერთგულმა ხელქვეითებმა მოაწყვეს. არქივებში და ტერორის მსხვერპლთა ელექტრონულ ბაზებში ძნელია იპოვო ისეთი ძველი ბოლშევიკი, ვინც საკუთარი მხრებით შექმნა

[25] ვადაჭკორია შოთა, ოსური მითი და ქართული სინამდვილე(პასუხად ოს ისტორიკოსებს), შპს. საგამომცემლო სახლი „ქართული ელიტა“, თბილისი 2012 წელი. გვ. 30-31.

[26] Джугели В. Тяжелый крест, Книгоиздательство Ал. Арабидзе и К0, Тифлис, 1920 г. გვ. 231.

„საბჭოთა ხელისუფლება“ და შემდგომ მასობრივ რეპრესიებს გადაურჩა. მათ შორის არიან ის ოსი ბოლშევიკებიც, რომლებიც გამუდმებით ებრძოდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ამ „დამსახურების“ მიუხედავად, მაინც შეუბრალებლად გაატარეს დიდი ტერორის კონვეიერში...

ივანე ჯეჯელავამ 1936 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

გაიოზ დევდარიანი საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ მნიშვნელოვან პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობდა 1930-1931 წლებში ის საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი იყო. იგი 1937 წელს დააპატიმრეს; ბრალად „კონტრრევოლუციური, ძირგამომთხრელი საქმიანობა და ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოზადება“ დასდეს. 1937 წლის 11 ოქტომბერს მას საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულმა (ე.წ. „ტროიკა“) დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია მიუსაჯა, დახვრიტეს 1937 წლის 11 დეკემბერს.

რაზდენ კოზაევი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს „ტროცკისტული ორგანიზაციის“ წევრობის ბრალდებით. 1937 წელს შინსახკომის სამეულის განაჩენით დახვრიტეს მისი შვილი ვლადიმარ კოზაევიც, რომელსაც ბრალი დასდეს, რომ იგი „გადაიბირა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამბერკი კეკელიამ და მავნებლურ საქმიანობას ეწეოდა სოფლის მეურნეობის დარგში“.

არსენ ძუცოვი 1937 წელს გაასამართლა და დახვრიტა შინსახკომის სამეულმა. მას ბრალად „1931 წლიდან ერთერთი უცხო ქვეყნის დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობა“ დასდეს.

არქიფო ჯიოევი დაპატიმრებამდე მუშაობდა სამხრეთ ოსეთის შინსახკომის სამმართველოს ზნაურის რაიგანყოფილების უფროსად. იგი 1937 წელს გაასამართლა შინსახკომის სამეულმა და „კონტრრევოლუციური, ტერორისტული დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრობის“ ბრალდებით დახვრიტეს იმავე წელს.

ალექსანდრე ჯატიევი 1939 წლის ბოლოს დააპატიმრა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინსახკომმა და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, იგი 1942 წელს გარდაიცვალა სვერდლოვსკის ოლქის შრომა-გასწორების ბანაკში.

1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს - მათე სანაკოევი.

შინსახკომის სამეულმა 1937 წელს დააპატიმრა ვლადიმერ სანაკოევიც. იგი დაპატიმრებისას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი იყო. ბრალად ედებოდა „კონტრრევოლუციური მავნებლური საქმიანობა ლიტერატურულ სამეცნიერო ფრონტზე“. მას ასევე ბრალად დასდეს, რომ 1922-1937 წლებში „ორგანიზებას უწევდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საქართველოს სსრ-დან გამოყოფის მოძრაობას“. ვლადიმერ სანაკოევი იმავე წელს დახვრიტეს შინსახკომის სამეულის გადაწყვეტილებით.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი-საქართველოს მხარდაჭერით, პროექტის - „საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონის“ ფარგლებში.

ავტორი: **დავით ხვადაგიანი.** იხილეთ ავტორის ბიოგრაფია აქ.